

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №1 იანვარი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

19 იანვარი. ნათლისღება. წყლის კურთხევა

ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა ღამეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით და ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანიის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისაგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეიძლება მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

ნათლისღება — ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისაგან მიიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმინდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმინდე, ან, როგორც უცოდველი, განწმენდას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელ იღო ჩვენი შეწევნისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმენდილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ნათლისღებისას სულიწმიდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო მადლი უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განბანს.

ამ დღეს ღვთისგანცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ გაცხადდა პირველად სამება — ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ“.

14(27) იანვარი. წმიდა ნინო, მოციქულთასწორი, ქართველთა განმანათლებელი (IV საუკუნე)

კაბადოკიელი ქალწული წმ. ნინო, დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მისი მშობლები ზაბულონი და სოსანა წმიდა ქალაქში, იერუსალიმში გადასახლდნენ. აქ ნინოს მამა ოჯახს გამოემშვიდობა და ბერად აღიკვეცა. ქრის წასვლის შემდეგ სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა ქრისტიან ქალს სარა ნიაფორს. აღმზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს წმ. კვართი საქართველოში.

ამ დღიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თვითონ ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმიდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება, უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა“. საქართველოში გამომგზავრებულ ნინოს უამრავი დაბრკოლება ხვდებოდა. გაჭირვებით მიაღწია ქალაქ მცხეთას. მისი ლოცვითა და ღვთის შეწევნით შეიმუსრა კერპები.

წმ. მოციქულთასწორი ნინოს ღვაწლით, საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა.

წმინდანის სურვილისამებრ, მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში დაფლეს. შემდგომ, მის საფლავზე მირიან მეფემ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი ააგო.

3(16) იანვარი — წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი)

წმ. ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) დაიბადა 1863 წლის 5 ივნისს, გურიის სოფელ ლიხაურში.

წმ. ექვთიმეს თავიდანვე გამოუვლენია სწავლისადმი დიდი მისწრაფება. სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქუთაისის გიმნაზიაში. 1883 წელს კი ექვთიმე პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1887 წელს დაასრულა სწავლა და კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა თბილისში.

თავისი მეცნიერული მუშაობის უმთავრეს მიზნად ექვთიმეს საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის მასალების შევსება მიაჩნდა.

წმ. ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა რიგებშიც ვხედავთ. მას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის 1917 წელს ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, საფრანგეთში ევაკუირებულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან გაიტაცა საბანკო ვალუტა, ისტორიისა და კულტურის სამუზეუმო განძეულობა და ხელნაწერები. მათ მცველად გაჰყვა ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ.

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

წმ. ექვთიმე თაყაიშვილი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა, მაგრამ ღვთისა და ერისაგან დაკისრებული მოვალეობისათვის არ უღალატია.

ბოლოს, 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა განძის საქართველოში დასაბრუნებლად. თბილისის აეროდრომზე თვითმფრინავი 11 აპრილს დაეშვა. ექვთიმემ ქართულ მიწაზე ფეხი რომ ჩამოდგა, ზევით აიხედა, ზეცას შეხედა, მერე დაიღუნა, მარჯვენა ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას.

1953 წლის 21 თებერვალს ექვთიმე თაყაიშვილი უაღრესად დიდ გაჭირვებაში გარდაიცვალა.

2002 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმ. სინოდის განჩინებით, მოახდინა ექვთიმე თაყაიშვილის კანონიზაცია და ეწოდა მას — წმ. ექვთიმე ღვთისკაცი.

4 იანვარი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების დღეა.

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი, წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მესვეურები ულოცავენ ჩვენს პატრიარქს, ილია II-ს დაბადების დღეს. უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მეუფის მილოცვა

სულიერო ძმანო და დანო, მოხევეებო, ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს, ნაყოფიერ დღეებს, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში. თითოეული თქვენგანის სულს, გულსა და გონებაში დაესადგურებინოს სულის მაცხოვნებელ სიმშვიდეს.

გფარავდეთ ღმერთი.

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი
მეუფე იეგუდიელი

გიმნაზიის პედკოლექტივი, მოსწავლეები და გიმანზიის მესვეურები დაბადების დღეს ულოცავენ სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელს. უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.

ანინობის ყველა, ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი. აისახება სკოლის ყოველდღიური ცხოვრება, მისი მესვეურებისა და მასწავლებლების დაჯილდოება და პენსიაზე გასვლა. მასწავლებლებისა და ყოფილი მოსწავლეების შემდგომი მოღვაწეობა ამა თუ იმ სფეროში. პედსაბჭოს მუშაობა. მატიანეში უნდა აისახოს სკოლაში ჩატარებული ყველა ღონისძიება. ერთი სიტყვით, მატიანე უნდა იყოს სკოლის მრავალმხრივი ცხოვრების სარკე მისი არსებობის მთელ მანძილზე, მისი უნივერსალური სარეგისტრაციო ჟურნალი.

მატიანის ჟანრისათვის მთავარია შინაარსი, „ჯიუტი ფაქტები“, ზუსტი წყაროები, თარიღები, ციფრები, გვარები და ციტატები.

კადნიერებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი, რომ წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის გაზეთი „ჩემი გიმნაზია, რომელიც 2014 წლის იანვრიდან გამოდის, გიმნაზიის დირექტორის, სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით, თავისი მნიშვნელოვანი ფაქტებით სრულად ასახავს გიმნაზიის ყოფა-ცხოვრებას.

გაზეთის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს პირველ რიგში ის, რომ გამოვლინდნენ ნიჭიერი ბავშვები, რომელთაც შეუძლია კარგად ჩამოაყალიბონ თავისი მოსაზრება სხვადასხვა საკითხებზე, მსჯელობენ და ასაკის მიუხედავად ცდილობენ ჩასწვდნენ ცხოვრებისეულ საკითხებს. საგაზეთო წერილების მიხედვით კარგად აყალიბებენ აზრებს, საუბრობენ იმაზე, თუ რატომ უყვართ გიმნაზია თავისი განმასხვავებელი ნიშნებით, როგორ ზრუნავენ გიმნაზიის მესვეურები მათი სულიერების ჩამოყალიბებაზე.

გაზეთში აისახება ყველა ჩატარებული ღონისძიება. ჩვენი გაზეთია გიმნაზიის მრავალმხრივი ცხოვრების სარკე. მისი უნივერსალური „სარეგისტრაციო ჟურნალი“. ვფიქრობ, გიმნაზიის ყველა თანამშრომელი, უკლებლივ ჩართული უნდა იყოს, რომ გაზეთის საშუალებით გადმოცემული იქნეს ის მრავალმხრივი მუშაობა, ცოცხალი ორგანიზმივით რომ ჩქეფს გიმნაზიის ყოველდღიურობაში. მე აღარ მინდა ჩამოვთვალო იმ ბავშვების სახელები, რომელთა წერილებიც — ზოგჯერ არ ჩამოუვარდება ჟურნალისტის სტატიებს, მათ მკითხველი უკვე გაეცნო გაზეთის ფურცლებზე მათივე წერილების საშუალებით.

მინდა მადლობა გადავუხადო გიმნაზიის დირექტორს, მეუფე იეგუდიელს, არქიმანდრიტ ნიკოლოზს, გიმნაზიის მოძღვარ მამა ეგნატეს და სასულიერო პირებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ გაზეთის მუშაობაში.

მაშ ასე, „ჩემ გიმნაზიას“ დაარსებიდან ორი წელი შეუსრულდა. ვულოცავთ გიმნაზიის მესვეურებს გაზეთის ორი წლის იუბილეს. ვისურვებდი, რომ ერთობლივი შრომით კიდევ უფრო აქტუალურად იქნეს გაშუქებული გიმნაზიის ცხოვრება და ჩვენს გაზეთს მართლაც შეესრულებინოს გიმნაზიის მემატიანის წოდება.

მანონი გომიაშვილი

გაზეთი „ჩემი გიმნაზია“ ორი წლისაა

ცნობილია, რომ ყოველი ადამიანისათვის განსაკუთრებით ძვირფასი და საყვარელია ის ადგილი, სადაც შობილა, გაზრდილა და უსწავლია ანბანი, სადაც პირველად დასწაფებია ცოდნის წყაროს. ყველასათვის მუდამ ტკბილად მოსაგონარი და სანატრელია ბავშვობა, სკოლაში გატარებული წლები. ყველასათვის დაუვიწყარია ის ბედნიერი დილა, როცა მშობელმა პირველად შეიყვანა სასწავლებელში. მე ვერ წარმოიდგენია წერა-კითხვის მცოდნე ქალი და კაცი, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულითა და სიხარულით არ იხსენებდეს თავის სკოლას, იქ მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებს, რომელიც სამუდამოდ „სულს დააჩნდების“.

ბოლო ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარსულის შესწავლას, რადგან „წარსული მკვიდრი საძირკველია აწყმოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ (ი. ჭავჭავაძე). ეს ეხება ცხოვრების ყველა სფეროს. შექმნილია, ან იქმება სოფლების და ქალაქების, რაიონებისა და რეგიონების ისტორიები. ასევე არა ერთი და ორი სკოლის ისტორია დაწერილა და დაბეჭდილა, განსაკუთრებით საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით. ეს უკვე მატიანის ჟანრია. მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით — წლების, თვეების, დღეებისა და ზოგჯერ საათების მიხედვითაც აისახება სკოლის დაარსებიდან მოყოლებული მისი საქმიანობის ყველა, ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ფაქტი. აისახება სკოლის ყოველდღიური ცხოვრება, მისი მესვეურებისა და მასწავლებლების დაჯილდოება და პენსიაზე გასვლა. მასწავლებლებისა და ყოფილი მოსწავლეების შემდგომი მოღვაწეობა ამა თუ იმ სფეროში. პედსაბჭოს მუშაობა. მატიანეში უნდა აისახოს სკოლაში ჩატარებული ყველა ღონისძიება. ერთი სიტყვით, მატიანე უნდა იყოს სკოლის მრავალმხრივი ცხოვრების სარკე მისი არსებობის მთელ მანძილზე, მისი უნივერსალური სარეგისტრაციო ჟურნალი.

სიტყვა შვილთა გაზრდისათვის

ღღევანდელმა ცხოვრებამ მრავალგვარი სირთულის წინაშე დააყენა სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. წუთისოფელი ისეთი „ცოდვის სადგურია, „სადაც რჟენა, წაწყმედა და ღალატია, სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს განსაცდელსა მას ეშმაკისასა“. ბოროტისაგან გზის აქცევა წარმოუდგენელია უფლის შემწეობის გარეშე. გვიჭირს ჩვენ უფროსებს და, რაც მთავარია, უფრო მეტად უჭირთ ჩვენი შვილების უმანკო სულებს. მათი ცდუნება ხომ გაცილებით ადვილია: უზნეო სატელევიზიო გადაცემები, ვიდეოფილმები, კომპიუტერი, უცხოეთიდან გრიგალივით შემოჭრილი ე. წ. პიროვნების თავისუფლება“, რომელიც ყოველგვარი ზნეობრივი ნორმებისაგან ათავისუფლებს ადამიანს და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის სთავაზობს: გააკეთე ყველაფერი, რათა მოიხვეჭო სიმდიდრე, რათა საკუთარ თავს ასიამოვნო! სად არის აქ ის გული, დიდი ილია რომ იტყოდა, რომელიც ღმერთს ჩვენთვის მოძმის სიყვარულისთვის მოუცია, ის გული, რომლითაც დავრდომილი უნდა აღვადგინოთ, უნუგეშოს ნუგეში მოვფინოთ, მტირალს ცრემლი მოვწმინდოთ და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება ყოველ კაცში არ ღვიოდეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მრავალ ახალ წელს!

2016

საახალწლო ზეიმი გიმნაზიაში

სიყვარულისა და სიხარულის ზეიმი იყო წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონში. გიმნაზიის მოსწავლეები ზეიმითა და სიხარულით შეეგებნენ დამდეგ ახალ წელს. კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ გიმნაზიაში მართლაც ნიჭიერი თაობა გვეზრდება. იყო სიმღერები, ცეკვები, იუმორისტული დადგმები, და რაც მთავარია, იყო დიდი სიყვარული.

კონცერტის ბოლოს მეუფე იეგუდიელმა დალოცა ხევი და დარბაზში მყოფი ყველა სტუმარი. შემდეგ კი ბავშვებს, ტრადიციისამებრ, დაურიგა საახალწლო საჩუქრები.

ბავშვები გახარებულები გაეშურნენ სახლებისაკენ, რათა კარგად დაისვენონ და II სემესტრში ახალი ენერგიით შეუდგნენ სწავლას.

მრავალ ახალ წელს, ჩემო სამშობლოვ.

გიორგი ჯამარჯაშვილის თოვლის ბაბუა გვილოცავს ახალ წელს

გამარჯობათ, გამარჯობათ,
ჩემო კარგო პატარებო,
ჩემ ფიქრსა და ოცნებებში
დღე და ღამე ნატარებო.

ახალი წლის მობრძანებას
მოგილოცავთ, ლამაზებო.
წვერი მაქვს ქაღალდივითა
ენა კი შაქარივითა.

საჩუქრებიც მოგიტანეთ
უთვალავი და ულევი,
როცა ზეიმს დავამთავრებ,
დაგირიგებთ, პატარებო.

ჩემი ზამთრის არდადეგები

სიხარულით დაიწყო ჩემთვის შობა-ახალი წელი. ჯერ იყო და გიმნაზიაში საახალწლო კონცერტზე გავერთე კარგად. კონცერტის მონაწილე ვიყავი მეც. დაგვირიგეს სასხალწლო საჩუქრები, რამაც ძალიან გაგვახარა. ჩვენმა მეუფემ დაგვლოცა, ყველას მიულოცა ახალი წელი. შემდეგ უკვე ზამთრის არდადეგები დაიწყო. 25 დეკემბერს უკვე სახლში მოვრთეთ ნაძვის ხე და დავიწყეთ საახალწლო საშზადისი, ამოვავლეთ ჩურჩხელები, გავაკეთეთ გოზინაყი. ახალწლისთვის თოვლიც მოვიდა, რითაც ძალიან გავიხარეთ. კარგი იქნებოდა, გუდაურში წასვლა ყველას შეეძლოს. ეს კურორტი ხომ ყველაზე ახლოს ყაზბეგლებისთვისაა, მაგრამ მაინც ყველას არ შეგვიძლია იქ დასვენება. მაინც არა უშავს, აქაც გვქონდა შესაძლებლობა ციგებით გვექანავა. ჩემს ამხანაგებთან და დეიდაშვილებთან: მარიამთან და რეზიკოსთან ერთად მაინც კარგად გავერთე. არდადეგების პერიოდში დავიწყე „ბიძია თომას ქოხის“ კითხვა, წიგნი ძალიან მომწონს.

ნინო ქირიკაშვილი

სურათზე ნინო და
ია ქირიკაშვილები

არდადეგები გუდაურში

ზამთრის არდადეგებს ყოველთვის სიხარულით ველით ბავშვები. ამ დროს ბევრი სიურპრიზი გვხვდება. გიმნაზიის მასწავლებლები და მეუფე იეგუდიელი ყოველთვის ცდილობენ ჩვენს გახარებას. წელსაც კარგი საჩუქრები დაგვირიგეს.

ზამთრის არდადეგები მე ძირითადად გავატარე გუდაურის ზამთრის კურორტზე. გუდაური მსოფლიოში ცნობილი ტურისტული ადგილია. აქ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან დამსვენებლები. მთელ დღეს შინაარსიანად და აქტიურად ვატარებდი. გული მწყდება, რომ ჩვენი გიმნაზიის ყველა მოსწავლეს არა აქვს შესაძლებლობა იქ დასვენებისა. საღამოს სახლში შემოვუსხდებოდით მხიარულ ბუხარს, ვთამაშობდით, ვუყვებოდით ერთმანეთს ჩვენს მხიარულ თავგადასავლებს. საღამოთი წიგნებსაც ვკითხულობდით. დასამახსოვრებელი დრო გავატარე.

ხატია ხუციშვილი

დღეს, როცა ბევრი რამ გაუფასურდა, როცა ადამიანები, ასე თუ ისე, გონს მოვეგეთ, ნუთუ არ დადგა დრო, ჩვენი შვილები გავზარდოთ უფლის სწავლებითა და მოძღვრებით? რატომ გვიკვირს, როცა მათგან სიჯიუტეს, თავხედობას, სიბილწისაკენ სწრაფვას ვაწყდებით? განა როგორ კარგადაც არ უნდა ვასწავლოთ, შევუქმნათ ფუფუნება და კომფორტი, ეს ჩვენ შვილებს დაიცავს ცოდვათაგან?

მართლმადიდებლური სარწმუნოება სიწმინდეზე, სიკეთეზე, ქრისტესმიერ სიყვარულზე დაფუძნებული რწმენაა. ამ რწმენით უნდა ვასაზრდოებდეთ ჩვენი შვილების სულებს და ასეთ შემთხვევაში ვინ თუ არა სკოლამ და ოჯახმა, ვინ უნდა იტვირთოს მძიმე ჯვარი მომავალი თაობის გადასარჩენად?

ჩემო ძვირფასებო! ყური მივუგდოთ სასულიერო პირების, დიდი მამულიშვილებისა და წმინდა მამათა რჩევებს, რათა ჩვენი შვილები ისე აღვზარდოთ, როგორც ჩვენს ღვთისმოშბლის წილხვედრ სამშობლოს შეეფერება. სულიერება გადაარჩენს ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენი გიმნაზია კი ნამდვილად ნოყიერი ნიადაგია ბავშვების სულიერი აღზრდისათვის. გიმნაზიაში არსებობს სამლოცველო, განუწყვეტლივ ტრიალებენ სასულიერო პირები. დიდია ჩვენი მოძღვრის, არქიმანდრიტ ნიკოლოზის (ღლონტი) ღვაწლი ჩვენი მოსწავლეების აღზრდაში. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო როგორც მეუფე იეგუდიელს და მამა ნიკოლოზს, ასევე ჩვენს ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირებს, ჩემს მოძღვარს, მამა ელისეს, რომლებიც ასე ზრუნავენ ჩვენზე და ჩვენი შვილების სულიერ აღზრდაზე.

დაწყ. კალსების ჰედაგოგი ეკა სამქანაშვილი

ვისახსოვრე, დიახ, ვისახსოვრე!

მწერალს, ვისზედაც ამ წერილში მინდა ვილაპარაკო, კარგად იცნობს მკითხველი. ის აუჩქარებლად და უხმაუროდ მიჰყვებოდა თავის ძნელ გზას. მისი მოთხრობები იბეჭდებოდა ჩვენს პერიოდულ პრესაში, ითარგმნა რუსულად და ესპანურად.

1974 წელს ბატონი შოთა არაბული ქართველ მკითხველს წარუდგა მოთხრობების ცალკე კრებულით, რომელსაც „არაგვისპირული კაფა“ ჰქვია და რომლითაც ერთგვარი განაცხადი გააკეთა თავის შემოქმედებით გზასა და შესაძლებლობებზე. კრებულს ახლავს რევაზ ჯაფარიძის „სარეკომენდაციო ბარათი“. აი, რას ამბობს ამ ბარათით რევაზ ჯაფარიძე.

— „შოთა არაბულის მოთხრობების ეს პატარა წიგნი, ვფიქრობ, მკითხველის ცხოველ ინტერესს გამოიწვევს. მოთხრობების ავტორი მთის შვილია. მის ბავშვობასა და ყრმობას მშობლიურ ხევსურეთში, წარმართობის დროიდან შემორჩენილ ციხე-კოშკებთან, მიუვალ ჭიუხებში, ანკარა წყაროებთან და ამ ანკარა წყაროებივით გულანკარა ადამიანების გვერდით გაუვლია. მოთხრობებში ჯერ ისევ ცოცხლობს ზღაპრული სამყარო, ქართველი მკითხველი ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერებიდან რომ იცნობს. შოთა არაბული ჩვენი დროის ცივილიზებული ადამიანის თვალით ხედავს ჩვენთვის საოცრად ახლობელ პატრიარქალურ ხევსურეთს, მის ყოფას, მის ისტორიას, რომელიც დედა-საქართველოს ისტორიის ნაწილია, ტრადიციებს, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. როგორც ნამდვილ მხატვარს შეჰფერის, ავტორი არსად არ გვაგრძნობინებს თავის გაშიშვლებულ ტენდენციებს. ცოცხალი სინამდვილე თავად შემოსცინის მკითხველს მთელი თავისი მრავალფეროვნებით, მაგრამ შოთა არაბული მაინც ბოლომდე ერთგული რჩება გულში ღრმად ჩამარხული ესთეტიკური იდეალისა — აჩვენოს, საშხეოზე გამოიტანოს ის, რაც წმინდა და ამაღლებულია ადამიანის სულში“.

ბატონი შოთა არაბულის მოთხრობების გმირები ნამდვილი ბუნების შვილებია, გულმართალნი და სიცოცხლის ნიჭით აღსავსენი. მთები, მთაში ჩაგუბებული ნისლები, წვიმაში გახვეული მზე და მწვანით შეღებილი ღვიიან-დეკიანები ასაზრდოებენ მწერლის შემოქმედებას...

ამ მთებიდან დასაბამითგან მოდიოდა ვაჟკაცობის, სიკეთის, სიყვარულისა და სილამაზის გამომხატველი თავანკარა, აუმღვრევი ნაკადი. მათ ხეობებში დაბიჯებდნენ ძველისმეელი ლეგენდებისა და მითების ფანტასტიკური გმირები, სიკეთისა და ბოროტებისმატარებელი პერსონაჟები, რომელნიც ამ ზღაპრულადვე საოცარი ბუნების ფონზე ერკინებოდნენ ერთმანეთს. ერთნი სინათლის, სიცოცხლის დასამკვიდრებლად, მეორენი წყვდიადის გასაბატონებლად ისედაც ამღვრეული, წუხილგარეული ცის ქვეშეთში.

აქედან გადმოაწითლა პრეისტორიული აზროვნების კაბადონი გულადმა მოყმემ... აქედან გამოიჭვრიტა ღვთაებრივი მშვენიერების მქონე შვილის ნუკრმა და, არა მარტო ჩვენ, მთელი ბუნება ააცრემლა.

ამ მთებში დაიბადა ბატონი შოთა არაბული, თვალის გახელისთანავე მისმა მხლეველმა მწერალმა, იქვე გამოჭედილი საჭრეთლით მოსინჯა მთათა გულის ბოქლომები და ცხრაკლიტურიდან გამოიყვანა ლამაზ ზღაპრებსა და თქმულებებში განბანილ-გაწმენდილი და ასევე ლამაზი ადამიანები. დაგვანახა მათი ყოფა და არსებობის არსი.

გავიხსენოთ მოთხრობა „როშკის ბილიკზე“, რომელიც მთების მომღერალი მწერლის გურამ რჩეულისადმია მიძღვნილი. მოთხრობა პირდაპირ მოქმედებით იწყება: „ბილიკზე მიმავალი მგზავრი ცხენის ფლოქვების თქარუნმა გამოაფხიზლა, უკანმოიხედა და ბილიკიდან გადახტა: თეთრ ცხენზე მჯდომმა ქალიშვილმა შუდრულივით ჩაუქროლა და როშკის ბოლოში ტყეს მიეფარა.

მგზავრი ბილიკზე ამოვიდა და გზა განაგრძო.

სოფელში შემავალ შარაგზას ორივე მხარეს ღორღი ქვით ნაგები ყორეები გასდევდა, ყორეებს აქა-იქ წნული ღობეები ენაცვლებოდა, მათ იქით კი ახლად აჯეჯილებული ყანები და ყვავილებით გადაპენტილი სათიბები იშლებოდა“...

ვინც ამ სოფელში ყოფილა, კარგად ენიშნება მწერლის ეს მონახაზი. სადად, მაგრამ კარგად არის ნათქვამი. არავითარი მეტაფორა, ალეგორია თუ მეტონიმია, ყველაფერს თავისი სახე აქვს. შოთა არაბული ზომიერად ხმარობს ოსტატის ფუნჯს ტილოზე ფერების გასანაწილებლად. აი, ნატურალურ, გაქვავებულ ერთფეროვნებას მოძრავი, რაღაცის მთქმელი საღებავი დასჭირდა, მწერალი მშვენივრად ჩასწვდა „საიდუმლო ყუთს“ და შეარჩია კიდევაც იგი. აბა, ნახეთ:

„ჭერხოს კარმა გაიჭრიალა და მთვრალი ხევსური გამოვიდა ბარბაცით.

შუა ეზოში გაჩერებულმა მთვარეს ახედა, კარგა ხანს უყურა, მერე რაღაც წაიბურტყუნა, ხანჯალი იშიშვლა და სიბნელეს თუ სიცარიელეს წვერით გაუქანა რამდენიმეჯერ.

გაოცებული ლელა და გურამი წამოდგნენ – რას სჩადი, ძია ბერდია? — ჰკითხა გურამმა და მისკენ წავიდა.

ხევსურმა კარგა ხანს უკირკიტა სიბნელეს, სანამ ეზოში მდგომთ დალანდავდა.

— წუთისოფელს ვხანჯრავ, ვეჟო, წუთისოფელს! უკუღმართია, ამის... გინებაც დააყოლა და ეზოდან გაძუნძულდა.

ქალ-ვაჟმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთი-მეორეს“.

რა ხდება? საწოლზე მომაკვდავი, დათვის ნატოტარი იმედური წევს. ხევსურები კი არაფს შეექცევიან და თითქოს სიკვდილი მათთან მისვლას ვერ ბედავს — უშვოთველად ხვდებიან დროის დინებას.

მოთხრობა კომპოზიციურად მჭიდროდაა შეკრული და არსად არ იგრძნობა ძალდატანება, ამბის გაბერვა ან მოდუნება, მთავარი მაინც ისაა, რომ ავტორი არ დალატობს იდეალური გმირის ლტოლვის კლასიკურ გაგებას და ნაწარმოების მთავარ ძარღვად სიკეთეს, სიმტკიცეს, სილამაზეს და სინათლეს ამკვიდრებს.

„...შურთხები საგათენებლო ზარს რეკავდნენ. სიკვდილი კი... სიკვდილი არსად ჩანდა, როშკიონი იმედურის ნაკეკნი სიკვდილი“.

აი, რას ამბობს ნიკო კეცხოველი მწერალ შოთა არაბულზე:

„...გუდამაყრის არაგვს უერთდება მთიულეთის არაგვი, მას მინდა ავყვე და გადავიდე თერგის ხეობაში, სადაც ბობოქარ მდინარის ნაპირებზე უხმაუროდ მუშაობს შოთა არაბული, ხევსურეთის არაგვის სათავეებიდან ღუდუშაურის არაგვის სათავეში გადასული კაცი.

ჩვენი ქართული ლიტერატურა მდიდარია მთის თემატიკით. მარტო რად ღირს მყინვარის სიმაღლე, ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გორა“, „ელისო“ და სხვა; ბუმბერაზი შეუცვლელი ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“ და მრავალი და მრავალი, მაგრამ მთა ჯერ ამოუწურავია.

შოთა არაბულის წიგნი „ფერხისა“ 1980 წელს გამოვიდა, მასში დაბეჭდილია სამი მოთხრობა, მათ შორის ორი („ბაბრი და ხევსურები“ და „ძაღლი ადამიანზე ფიქრობს“) ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობაზეა აგებული. ერთიც და მეორეც მაგონებს ჯეკ ლონდონის ჩრდილოეთის მოთხრობებს და თავისი ღირსებით, საგანთა შეგრძნებით, არც ერთ ამ ტიპის მოთხრობას არ ჩამოუვარდება“.

თითქოს უბრალო და მთის სოფლისთვის ჩვეულებრივი ამბავია, სოფელს მგელი შეეჩვია, ძაღლებს ხოცავს და უჭამს. ბოლოს და ბოლოს, ასეთ მგელს კლავენ და სოფელიც მოისვენებს, დაწყნარდება.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ციცინო ღუდუშაური
გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რედაქტორი მანონი გომიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, ნატო ფიკლაური, უჩა ხუციშვილი.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი